

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი

უსაფრთხო გარემოს შეფასება გურიის
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

2017 წელი
თბილისი

სარჩევი

შესავალი	3
მეთოდოლოგია.....	5
კვლევის ძირითადი შედეგები.....	6
კვლევის შედეგები	10
უსაფრთხო გარმო სკოლამდელ დაწესებულებებში	10
ძალადობა და ბულინგი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.....	13
ჯგუფების მრავალფეროვნება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში	17
ინკლუზიური გარემო და ინკლუზიური განათლება	17
განსხვავებული რელიგიისა და ეროვნების მქონე ბავშვები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.....	20
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული სტერეოტიპები	22
ბალებში ჩატარებული ღონისძიებები	24
ამბები, რომლებსაც ბავშვები სახლში ყვებიან	26
მშობელთა ჩართულობა.....	26
რეკომენდაციები.....	27

შესავალი

კვლევა ჩატარდა პროექტის „სამოქალაქო ჩართულობა პოზიტიური ცვლილებებისთვის“ (დაფინანსებულია BR0t fur die welt მიერ) ფარგლებში 2017 წლის შემოდგომაზე.

ზოგადი განმარტებით სკოლამდელი აღზრდა და განათლება ეს არი 2 წლის ასაკიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვის ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად მისთვის მიწოდებული საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო მომსახურება; შესაბამისად, სკოლამდელი განათლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ბავშვის განვითარებისა და სოციალიზაციის პროცესში. კვლევები ადასტურებს, რომ სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვან ბენეფიტს აძლევს არა მხოლოდ აღსაზრდელებს, არამედ სახელმწიფოსაც, რადგან სამომავლო პერსპექტივაში ხარისხიანი სკოლამდელი განათლება საწინდარია უფრო განვითარებული, ინტეგრირებული, არაძალადობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბავშვი არის ადგილი, სადაც ბავშვებს უყალიბდებათ შეხედულებები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მათ აღსაზრდელების შემდგომ განვითარებაზე.

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლამდელ დაწესებულებებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბავშვის განვითარებაში, აუცილებელია შექმნილი იყოს უსაფრთხო გარემო. უსაფრთხო გარემოს შექმნა არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკური გარემოს შეცვლას. უსაფრთხო გარემო უნდა გულისხმობდეს აღსაზრდელებისა და პერსონალის უსაფრთხოების ფართო გაგებას - როგორც ფიზიკურ, ასევე ემოციურ უსაფრთხოებას. თუმცა ხშირ შემთხვევაში უსაფრთხოება ძირითადად ფიზიკურ გარემოსთან არის დაკავშირებული და ყურადღება გამახვილებულია ინფრასტრუქტურასა და ინვენტარზე, რომელსაც ინსტიტუტი შეიძლება ფლობდეს. მაგრამ როცა ბავშვთა განვითარებასა და სოციალიზაციაზე ვსაუბრობთ აქ უდიდესი წვლილი შეაქვს ემოციურ უსაფრთხოებას, რა თქმა უნდა ფიზიკურ გარემოსთან ერთად. ზრუნვაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო - სწორედ ამგვარ გარემოს მიიჩნევენ განათლების ექსპერტები უსაფრთხო სკოლის კონცეფციის მთავარ ნაწილად. გარემო, სადაც სასკოლო ცხოვრებაში ჩართული ყველა პირისთვის არსებობს სოციო-ემოციური მხარდაჭერის სისტემა.

თავად ეს ტერმინი - ემოციური უსაფრთხოება საკმაოდ ფართო ცნებაა, თუმცა აღნიშნულ კვლევაში ყურადღება გამახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- ✓ მოსწავლეების დაცვა ყოველგვარი ფიზიკური ძალადობისა და ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან, ასევე არასათანადო მოპყრობისაგან.
- ✓ ბავშვთა უფლებებს დაცვა სქესის, რასის, სოციალური და ეთნიკური წარმოშობის, ფიზიკური მონაცემებისა და სხვა ბუნებრივი მდგომარეობის მიუხედავად;
- ✓ მოზარდებში სტერეოტიპული ღირებულებების შეცვლა სამოქალაქო ღირებულებებით.

- ✓ პოზიტიური და ინდივიდუალური დამოკიდებულება აღსაზრდელის მიმართ, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებასა და მის პიროვნულ ზრდაზე.

შესაბამისად აღნიშნულ კვლევაში ყურადღება გამახვილდება იმაზე, თუ რა დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს სკოლამდელი დაწესებულებები მოსწავლეებში და როგორ ხდება ბავშვთა სოციალიზაცია არსებულ გარემოში. რამდენად არის გარემო მორგებული ნებისმიერი მოსწავლის საჭიროებებზე.

ანგარიში მოამზადა ხატია ჭანიშვილმა - „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების კომპონენტის მენეჯერმა

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი გახლავთ შემდეგი: *სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში მასწავლებელთა და მშობელთა იმ დამოკიდებულებებისა და მიდგომების შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებას, მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, ადრეული შეხედულებების ჩამოყალიბებასა და მათს განვითარებაზე.*

კვლევის ამოცანები:

- ინფორმირებულობის ხარისხის განსაზღვრა უსაფრთხო გარემოს შესახებ სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში
- დამოკიდებულებებისა და ინფორმირებულობის ხარისხის განსაზღვრა ბულინგისა და ძალადობის ფორმების შესახებ, რომლებიც შესაძლოა ხდებოდეს ბავშვში.
- დამოკიდებულებების კვლევა ბავშვში გენდერული სტეროტიპების შესახებ
- სკოლამდელ დაწესებულებებში ინკლუზიური გარემოს შეფასება და იმის გამოვლენა, რადენად არის ეს გარემო ნებისმიერი მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული (მათ შორის რელიგიური, ეთნიკური, სოციალურად დაუცველი, შშმ)

კვლევის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს გურიის რეგიონის 5 ბალის მასწავლებლები, აღსაზრდელთა მშობლები და სფეროს ექსპერტები (განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ოზურგეთის ბავშვის გაერთიანების წარმომადგენლები და სხვა). აღსანიშნავია, რომ 4 სოფელი (შრომა, ნიგვზიანი, ლაითური, ნასაკირალი) რომლებშიც ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა, არის რელიგიური უმცირესობებით დასახლებული, ხოლო ერთი -ქალაქ ოზურგეთის ბავშვი. კვლევის ფარგლებში ჩატარდება ფოკუს-ჯგუფები:

- ბავშვის მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები (5 ფოკუს-ჯგუფი)
- აღსაზრდელთა მშობლები (5 ფოკუს-ჯგუფი)
- ექსპერტები (2 ფოკუს-ჯგუფი კვლევის საწყის ეტაპზე.)

სულ 12 ფოკუს-ჯგუფი.

ფოკუს-ჯგუფებისთვის შემუშავდა სადისკუსიო გეგმა (guide-line), სადისკუსიო გეგმა მოიცავდა იმ თემებს, რომლებზეც უნდა წარმართულიყო დისკუსიები. თითოეული ფოკუს-ჯგუფი გრძელდებოდა საშუალოდ ერთი საათი. რესპონდენტთა რეკრუტირება მოხდა მათთან უშუალო კონტაქტის საფუძველზე.

ჩაიწერა ფოკუს-ჯგუფების აუდიო ვერსია, რის შემდეგაც მომზადდა ტრანსკრიპტები. შემდგომ საფეხურზე გაანალიზდა ტრანსკრიპტები, გამოიყო ძირითადი თემები, შესაძლებელი გახდა ინფორმაციის კატეგორიზაცია, რის შემდეგაც მომზადდა ანგარიში.

კვლევის ძირითადი შედეგები

კვლევაში ჩართული რესპონდენტები თანხმდებიან, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები მნიშვნელოვან სარგებელს აძლევს აღსაზრდელებს, რადგან ბალებში ბავშვები გამოიმუშავენ მოტორიკის, მეტყველების, კოგნიტურ თუ სოციალურ უნარებს. პედაგოგებისა და მშობლების აზრით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ყველა ჩამოთვლილ ბენეფიტს აძლევს აღსაზრდელებს, თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დღესდღეობით ბალებში ბევრი პრობლემაა, რაც აფერხებს ბავშვების სწორ განვითარებასა და მათს სოციალიზაციას.

ბალების პედაგოგები და მშობლები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ ფიზიკურ გარემოზე, რომელიც, მათი აზრით, არ არის შესაბამისად მოწყობილი, რაც ხშირად ქმნის პრობლემას. ექსპერტები კი გამოყოფენ შემდეგ პრობლემებს, რომლებიც ბალებში არსებობს:

- მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია
- ბავშვების დიდი რაოდენობა ჯგუფებში
- მასწავლებელთა სტერეოტიპული დამოკიდებულებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით
- არაპოზიტიური და დისკრიმინაციული მიდგომები აღსაზრდელთა მიმართ
- ბულინგისა და ძალადობის ფაქტების არსებობა სააღმზრდელო პროცესში

რესპონდენტებისთვის უსაფრთხო გარემოს გაგება მოიცავს ძირითადად მხოლოდ ფიზიკურ გარემოს, კონკრეტულ ნივთებსა და ინვენტარს, რამდენად უსაფრთხო არის ისინი ბავშვებისთვის. მხოლოდ ექსპერტები საუბრობენ ემოციურ უსაფრთხოებაზე, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ბავშვის ჩამოყალიბების პროცესში.

ემოციურ უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი ნაწილია ძალადობისა და ბულინგის საკითხი. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ ბალები ძალადობისგან მთლიანად არის დაცლილი, რადგან მასწავლებელთა მხრიდან ძალადობის ფაქტები უკვე წარსული გამოცდილებაა.

კვლევაში მონაწილე მშობლები მიიჩნევენ, რომ დასჯის გარკვეული ფორმები მისაღებია და მას იყენებენ როგორც თავად მშობლები, ასევე მასწავლებლებიც. მეტიც, ხშირად თავად მშობელი სთხოვს მასწავლებელს საკუთარი შვილის დასჯას იმ ქცევის განხორციელების გამო, რომელიც საზოგადოდ აღიარებული და მოსაწონი არ არის.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაღებში სააღმზრდელო პროცესში დღესაც ვხვდებით როგორც ფიზიკური, ისევე ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებს, მათ შორის:

- დარტყმა, ყურის აწევა
- ყვირილი
- დაშინება
- კუთხეში დაყენება
- თამაშის აკრძალვა
- ფეხზე დგომა
- შეურაცხყოფის მიყენება

რესპონდენტთა დიდი ნაწილი (მშობლები და პედაგოგები) საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ბულინგის რაობის შესახებ. უმეტეს შემთხვევაში კითხვაზე, რას მოიაზრებდნენ რესპონდენტები ბულინგში, მათგან მოდიოდა პასუხი, რომ ისინი საჭიროებდნენ ახსნას, რადგან არ ესმოდათ აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობა.

მშობლებისა და პედაგოგების აზრით, ბულინგი ძირითადად სკოლის პრობლემაა, რადგან ბაღში ბულინგის პრობლემა ნაკლებად დგას. რესპონდენტთა თქმით, ბავშვები თამაშის დროს კბენენ ან ურტყამენ ერთმანეთს, მაგრამ ეს თამაშით მოსდის და მათი აზრით, ამის ბულინგთან იდენტიფიცირება არასწორია.

მიუხედავად იმისა, რომ ბულინგის არსებობას უმეტესად უარყოფენ, კვლევის შედეგების მიხედვით მსგავსი ფაქტები მაინც არსებობს. უმეტესად ბულინგი გამოლინდება ხოლმე შემდეგ ქცევით პატერნებში:

- დაცინვა
- ჯგუფიდან გარიყვა
- დამუქრება/დაშინება
- მეგობრად არ მიღება

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ძირითადი ფაქტორი დაცინვის ან მეგობრად არ მიღების ხდება მატერიალური მდგომარეობა, ჩაცმულობა, გემოვნება და ვიზუალი. ჯგუფებში, პედაგოგთა თქმით, არიან „პოპულარული“ და „ნაკლებად პოპულარული“ აღსაზრდელები. ეს პოპულარობა კი ძირითადად უკავშირდება ძვირადღირებული ნივთებისა და ტანსაცმელის ქონას, ასევე კარგ ვიზუალსაც.

როგორც კვლევამ გამოავლინა, არც პედაგოგებს და არც მშობლებს არ აქვთ ინფორმაცია მრავალფეროვნების მართვაზე, მეტიც, ჯგუფის მრავალფეროვნება მათი უმეტესობისთვის ასოცირდება მრავალფეროვან თამაშებთან, სხვადასვა ფერის კედლებთან, სხვადასხვა აქტივობასთან, მრავალფეროვან სათამაშოებთან და სხვა.

ინკლუზიური გარემო რესპონდენტებისთვის ასოცირდება ინკლუზიურ განათლებასთან და უფრო კონკრეტულად, ეტლით მოსარგებლე ბავშვებთან. შესაბამისად, კონკრეტულ ბავშვზე ინდივიდუალური მიდგომაც, პედაგოგებისა და მშობლების აზრით, გაიგივებულია მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღსაზრდელებთან.

შშმ და სსმ ბავშვების მიმართ ვაწყდებით დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს, უმეტესად ეს მაინც არის პოზიტიური დისკრიმინაცია, როცა პედაგოგები და მშობლები ცდილობენ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ იმაზე, თუ როგორ არიან ჩართული ეს ბავშვები სხვადასხვა აქტივობაში და მიუხედავად მათი „ნაკლისა“, ისინი მაინც ყველას უყვარს.

დღემდე სამარცხვინოდ მიიჩნევა ის ფაქტი, თუ ბავშვი ჩართულია ინკლუზიურ განათლებაში. მშობლები ორი მიზეზის გამო იკავებენ ხოლმე თავს თავიანთი შშმ/სსმ შვილების ბაღში მიყვანისგან: 1) რცხვენიათ მათი შვილების გამო და/ან 2) ეშინიათ, მათი შვილი ბაღში სხვა ბავშვების მხრიდან დაცინვის ობიექტი არ გახდეს.

მასწავლებლების უმეტესობა აღიარებს, რომ მათ არ აქვთ საკმარისი კომპეტენცია, იმუშაონ შშმ/ სსმ ან აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებთან.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საკმაოდ გავრცელებულია რელიგიური ატრიბუტიკა (ხატები, რელიგიური შინაარსის წარწერები) და ასევე რელიგიური რიტუალი - ლოცვა. იგრძნობა ტენდენცია, რომ პედაგოგებს სურთ, განსხვავებული რელიგიის მქონე აღსაზრდელები მოინათლონ ქრისტიანებად და ამაში თავადაც შეიტანონ წვლილი (მართლმადიდებლობაზე საუბარი ბავშვებთან, პირჯვრის გადაწერის სწავლება, ლოცვის სწავლება)

კვლევამ გამოავლინა პედაგოგებსა და მშობლებს საკმაოდ კარგად აქვს ინტერნალიზებული ის სტერეოტიპები, რომლებიც საზოგადოებაშია ფესვგამდგარი. შესაბამისად, ნებით თუ

უნებლიეთ აღნიშნულ სტერეოტიპებს ნერგავენ აღსაზრდელებში/შვილებში. ყველაზე მეტად ეს მაინც გენდერულ სტერეოტიპებს ეხება.

პედაგოგებისა და მშობლების უმეტესობა განასხვავებს ბიჭებისა და გოგონების ფერებს (ვარდისფერი ასოცირდება გოგონებთან, ლურჯი - ბიჭებთან) ქალისა და მამაკაცის პროფესიებს, ასევე ოჯახში ქალისა და მამაკაცის საქმიანობებს. ნეგატიური დამოკიდებულებები ვლინდება (მასწავლებლების, მშობლების, სხვა ბავშვების მხრიდან) იმ აღსაზრდელების მიმართ, რომლებიც ამ შეხედულებებისგან „გადახრილი“ ქცევითა და მანერებით გამოირჩევიან.

კვლევამ გამოავლინა, რომ ბაღში ჩატარებული ღონისძიებები ხშირად აჩვენებს მასწავლებლის სახეს, მისი მუშაობის შედეგსა და პედაგოგის შემოქმედებით უნარს, სწორედ ამიტომ მასწავლებლები დიდ რესურს დებენ ამ ღონისძიებებში, რის შედეგადაც ბავშვები იღლებიან, ან ზოგჯერ მათ არ მოსწონთ ის როლი, რომელიც უნდა შეასრულონ, რის გამოც ეწყებათ შფოთვა, განიცდიან და პროტესტს გამოხატავენ, თუმცა პედაგოგისა თუ მშობლის ძალდატანების შემდეგ, ბავშვების სურვილის საწინააღმდეგოდ, მათ მაინც უწევთ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.

პედაგოგთა თქმით, მშობლები ნაკლებად არიან პროცესში ჩართულები, რადგან მათ ნაკლებად აინტერესებთ, რას სწავლობენ ბავშვები ბაღში, ძირითადი აქცენტი მათგან ისმევა კვებაზე, ასევე ღონისძიებების დროს ფორმების შეძენასა და დარბაზის მოწყობაზე, რაც პედაგოგების აზრით, საკმარისი არ არის.

კვლევის შედეგები

უსაფრთხო გარმო სკოლამდელ დაწესებულებებში

კვლევის შედეგების მიხედვით რესპონდენტებმა გამოყვეს ის ძირითადი ბენეფიტები, რომლებსაც აძლევს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები აღსაზრდელებს. ბაღის პედაგოგებისა და აღსაზრდელთა მშობლების აზრით, სკოლამდელ დაწესებულებებს მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია აკისრიათ ბავშვების განვითარებასა და სოციალიზაციის პროცესში, რადგან ისინი სწორედ სკოლამდელ დაწესებულებებში გამოიმუშავენ მოტორიკის, მეტყველების, კოგნიტურ თუ სოციალურ უნარებს. აღსაზრდელთა მშობლები, რომლებიც კვლევაში მონაწილეობდნენ, ყურადღებას ამახილებენ რეჟიმზე, რომლიც ბავშვს ხვდება ბაღში. მშობლები მიიჩნევენ, რომ სახლში მათი შვილები თავისუფლად არიან, ხოლო ბაღში არსებული წესები მათ არ აძლევთ იმის საშუალებას, გააკეთონ ის, რაც მოესურვებათ, შესაბამისად მშობლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული „სარგებელი“ სწორედ ის რეჟიმია, რომელშიც ბავშვები არიან ბაღში ყოფნის პერიოდში. ასევე მათ ყურადღება გაამახვილეს ისეთი უნარების გამომუშავებაზე, როგორცაა უფროსების პატივისცემა, კულტურა, მანერები და ზოგადი ქცევითი პატერნები, რომლებიც მიღებული და მოწონებულია საზოგადოების მხრიდან.

„ბავშვი ეჩვევა რეჟიმს, სახლში კი ვცდილობთ, მაგრამ მაინც ურეჟიმოდაა და ბაღში რეჟიმი აქვთ ძილის, ჭამის, სწავლის, კი ვცდილობ, რომ მეც ვასწავლო, მაგრამ ბავშვებთან ერთად უკეთესია და უფრო საინტერესოდ მიაჩნია. მიჩვეულები არიან რეჟიმს.“ (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

„ჩემმა შვილმა ლაპარაკი დაიწყო გვიან და ბაღმა უფრო აქტიური გახადა, უყვარს ბაღში წასვლა, სისუფთავეს, ქცევას, პატივისცემას, ყველაფერს სწავლობს.“ (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

რაც შეეხება პედაგოგებს, ისინიც მიიჩნევენ, რომ ბაღს საკმად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბავშვის ყოველმხრივ განვითარებაში, მათ შორის ფიზიკურ, ემოციურ და შემეცნებით დონეზე. რესპონდენტები გამოყოფენ ასევე ურთიერთობას, კომუნიკაციასა და ინტერაქციას, როგორც ადამინისთვის სასიცოხლოდ მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს. ყურადღება გამახვილდა აგრეთვე სასკოლო მზაობაზე. პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბაღის ძირითადი მოვალეობა სწორედ აღსაზრდელთა სკოლისთვის მომზადებაა და იმ ძირითადი საბაზისო უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც შემდგომ სკოლაში გამოადგებათ.

მე მგონი ძალიან ბევრ რამეს იღებს, სოციალურად და ემოციურად ვითარდება, ფიზიკურადაც. შემეცნებითი უნარები ბავშვს ბაღში უვითარდება და ეს აუცილებელია, ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარებაც. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ყველაფერს სწავლობს ბაღში: კულტურას, მისი ქვეყნის სიყვარულს, ჭამას, თამაშს, მეგობრებთან ურთიერთობას, ზოგჯერ არის ბავშვი, რომ დედისერთაა და სახლში განებივრებულია. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მასწავლებლებისა და მშობლების აზრით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები საკმაოდ კარგად მუშაობს და აღსაზრდელებს ამღევს ყველა იმ სარგებელს, რომელიც ბაღმა უნდა მისცეს ბავშვს, თუმცა ამ საკითხზე განსხვავებულია ექსპერტთა მოსაზრებები. ისინი მიიჩნევენ, რომ სხვადასხვა დამაბრკოლებელი გარემოება ხშირ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის ბაღის აღსაზრდელის ფიზიკურ თუ ემოციურ უსაფრთხოებას. მათ შორის, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ხშირ შემთხვევაში მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ არის საკმარისი, მათი ცოდნა და უნარები ვერ უქმნის მოსწავლეებს უსაფრთხო გარემოს, ნაკლებად გვხვდება პოზიტიური მიდგომა ბავშვების მიმართ და უმეტეს შემთხვევაში კონკრეტული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება არ ხდება. ექსპერტები საუბრობენ იმაზეც, რომ თავად პედაგოგებში საკმაოდ აქვს ფესვები გადგმული სტერეოტიპებს, რომლებიც გავლენას ახდენენ აღსაზრდელთა შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა ჯგუფების სიდედიც, რადგან ამ დროს მხოლოდ ერთი აღზრდელი და ერთი ძიძა ვერ უზრუნველყოფენ გადავსებულ ჯგუფებში ბავშვთა უსაფრთხოებას.

„ბავშვი ვერ იღებს იმ სარგებელს, რასაც უნდა იღებდეს, ამას ვამბობ ჩვენ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, ვერ იღებს ბევრი მიზეზის გამო: მასწავლებელთა კვალიფიკაცია და კიდევ ბავშვთა ემოციური უსაფრთხოება ძალიან ნაკლებად არის გათვალისწინებული, რადგან იდენტიფიცირება, თუ რა არის უსაფრთხო გარემო, აღზრდელთა მხრიდან არის ძაან ღარიბი, სტერეოტიპებიც კარგად არის გამჯდარი.“ (სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი)

ყველა თანხმდება, რომ უსაფრთო გარემო აუცილებელია აღსაზრდელთათვის, თუმცა მნიშვნელოვანია, რა მოიაზრება რესპონდენტებისთვის უსაფრთხო გარემოში. კვლევის შედეგების მიხედვით, უსაფრთხო გარემო გაიგივებულია ფიზიკურ უსაფრთხოებასთან, როგორი მაგიდები დგას ოთახებში, არის თუ არა ფანჯრები დაცული, არის თუ არა სტანდარტთან შესაბამისი მენიუ და ა.შ. რესპონდენტთა უმრავლესობა სწორედ ამ პუნქტებზე ამახვილებს ყურადღებას და ბავშვებიც მაშინ არიან, მათი აზრით, დაცულ გარემოში, როცა ეს კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. მხოლოდ რამდენიმე

რესპონდენტმა ისაუბრა ემოციურ უსაფრთხოებაზე და ძირითადად ყურადღება გაამახვილა ბავშვთა მიმართ ძალადობაზე.

ყველაზე საშიში რაცაა, მაგიდები, კარადები, სკამები ისეთია, რომ საშიშია, ოჯალური უნდა იყოს, წვერი არ უნდა ჰქონდეს. რომ თავი არ მიარტყას ბავშვმა. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

კვების მხრივ შემოწმებული გვაქვს პროდუქტი, საბუთი მოყვება, ვარგისიანობა. ვამოწმებთ. სურსათის ეროვნული სააგენტოც ხშირად მოდის. სხვა კუთხით ვერ ვხედავ [უსაფრთხოება რა უნდა იყოს]. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

„უფრო საკვები, სისუფთავე, გაყვანილობა ნორმალური უნდა იყოს, ელექტრო გაყვანილობა, საპირფარეშო უნდა იყოს მოწესრიგებული.“ (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ანუ უსაფრთხოება იმ გარემოში, სადაც უნდა იყოს მთელი დღის განმავლობაში, ასევე არ უნდა იყოს ფიზიკური ძალადობის ქვეშ, ემოციური ძალადობის ქვეშ, ეს არის უსაფრთხო გარემო. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

რაც შეეხება ექსპერტებს ისინი მიიჩნევენ, რომ პედაგოგების და მშობლების მხრიდან უსაფრთხოების მსგავსი გაგება ხშირია, რადგან ფიზიკური გარემო თვალისთვის მეტად ხილულია, ხოლო ფსიქოლოგიური ძალადობა მშობლისთვის, სავარაუდოდ, ცნობილი იშვიათად თუ გახდება, შესაბამისად, მსგავს საკითხებზე მშობელთა ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია და ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის ფიზიკური გარემო უფრო აქტუალური მათთვის და რატომ არ საუბრობენ ისინი ემოციურ უსაფრთხოებაზე. რაც შეეხება მასწავლებლებს, ექსპერტებმა ისაუბრეს პედაგოგთა კვალიფიკაციაზე, რომელიც, მათი აზრით, არის საკმაოდ დაბალი, ამიტომ მათთვისაც ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ჯგუფში შეინარჩუნონ სიმშვიდე და აღსაზრდელებმა ერთმანეთს ან საკუთარ თავს ისეთი არაფერი დაუშაონ, რაც საფრთხეს შეუქმნის მათს ჯანმრთელობას.

„ჩვენ ვიცით, რომ წლების განმავლობაში საბავშვო ბაღები იყო ერთ-ერთი კარგი თემა დასასაქმებლად. „ბაღში მაინც დავიწყებ მუშაობას“. აღმოჩნდა, რომ შედეგად საბავშვო ბაღში მოიყარა თავი არაკვალიფიციურმა კადრებმა. და თუ ქალი იყო და თუ შვილი ყავდა გაზრდილი, ითვლებოდა, რომ მას რაღაც პრაქტიკა მაინც ქონდა.“ (ოზურგეთის ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი)

„ინდივიდუალური მიდგომა თუ არ არის, მაშინ რა უსაფრთხოებაზეა ლაპარაკი, მაგრამ ეს უკვე კვლიფიკაციის საკითხია.“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

ძალადობა და ბულინგი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპონდენტების უმეტესობა გმობს ძალადობას ბავშვთა მიმართ, თუმცა აქ ძირითადი აქცენტი კეთდება ცემაზე, როგორც ძალადობის ერთ-ერთ ფორმაზე, მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ ცემა ამჟამინდელი სტატუს-კვოთი მიუღებელია და მსგავსი ფაქტები დღეს უკვე აღარ ხდება, საყურადღებოა ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ცემის, როგორც ქცევის იმ პატერნის გამოუყენებლობა დაკავშირებულია არა გააზრებულ ქცევასთან, რომ ეს ზიანს აყენებს ბავშვს როგორც ფიზიკურადა, ისევე ფსიქოლოგიურად და ამავდროულად მოქმედებს მის განვითარებაზე, არამედ ამჟამინდელი აკრძალვისგან ზემდგომი პირების მხრიდან, რომ მსგავსი ფაქტების არსებობა დაუშვებელია.

დღეს ყველაფერი ძალადობაში შეიყვანეს, ჭამა არ უნდა და ვაძალებთ - ეს ძალადობაა, რამე ცუდს იტყვი და ვერხუბებით - ესეც ძალადობაა, არაფერი თუ არ უნდა გავაკეთოთ, აბა ჩვენ რისთვის ვართ?! (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

მიუხედავად ზემოაღნიშნული მოსაზრებებისა, რომ მსგავსი ფაქტები დღეს აღარ ხდება და ბალი სრულიად დაცლილია ძალადობისგან, კვლევამ გამოავლინა, რომ ეს „ჰიპოთეზა“ ზოგიერთ შემთხვევაში არ მართლდება. როგორც აღმოჩნდა, პედაგოგები დღესაც იყენებენ დასჯის სხვადასხვა მეთოდებს, ისეთებს, როგორცაა ყურის აწევა, კუთხეში დაყენება, დაყვირება, ცალკე დაყენება და ოთახში მარტო ჩაკეტვაც კი. აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლები თითქოს თავიანთ ქცევას ჰყოფენ კატეგორიებად: დასჯის მარტივი ფორმები და დასჯის უკიდურესი ფორმები. მარტივი დასჯის კატეგორიაში ძირითადად ექცევა ყვირილი, რამდენი წლისაც არის იმდენი წუთით ფეხზე დგომა, კუთხეში დაყენება, ხოლო უკიდურესი ფორმები - დარტყმა და ცემა.

პედაგოგს ასეთი ცელქი ბავშვი გაუყვანია ოთახში და ჩაუკეტია და მშობელი რომ მოვიდა, მერე გაახსენდა [მასწავლებელს], რომ ბავშვი ყავდა ჩაკეტილი. (სოციალური მუშაკი)

„ჩვენთან საერთოდ არ არის დასჯის მეთოდი... შეიძლება მარტივად რამდენი წლისაც არის ბავშვი, იმდენი წუთი დადგეს. ... შეიძლება არ ათამაშო და ეს იყოს დასჯა. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ჩვენც ადამიანები ვართ, ვუწევთ ხოლმე ხმას. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

საყურადღებოა მშობელთა დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორც კვლევამ გამოავლინა, მშობელთა უმეტესი ნაწილი მიიჩნევს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დასჯა გამართლებულია. ისინი მიიჩნევენ, რომ როცა ბავშვის ქცევა უმართავი ან მიუღებელი ხდება, მასწავლებელი უნდა ჩაერიოს და დასაჯოს კიდეც, როგორც პედაგოგები ამბობენ, ზოგჯერ თავად მშობლები ხდებიან დასჯის ფაქტების წამახალისებლები, რადგან ისინი თავად სთხოვენ მასწავლებლებს თავიანთი შვილის დასჯას, რადგან თვითონ მშობლები ვერ ახერხებენ ბავშვების „დამორჩილებას“ და მათი ქცევის მართვას. ვხვდებით საპირისპირო ფაქტებსაც, როცა მასწავლებელი სთხოვს მშობელს აღსაზრდელის დასჯას, იქიდან გამომდინარე, რომ მას არ აქვს უფლება, იძალადოს ბავშვზე და გამოსავალს ამ ხერხით პოულობს.

მე მითხრა მასწავლებელმა, იქნებ შენი დასჯით შეშინდეს ბავშვი და ცუდად აღარ მოიქცესო. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

მე ვეუბნები მასწავლებელს, თუ დააშვა უნდა დაისაჯოს. ვერაფერი ვერ მოვუხერხებთ ვერც დამუქრებით და მასწავლებელსაც შეუბრუნა ხელი რამდენჯერმე. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

მე პირადად არანაირი რეაქცია არ მექნება, თუ დასჯის მასწავლებელი, ახლა მთლად არ უნდა მიტყეპოს. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ფიზიკურად დასჯას და შეურაცხყოფას ჯობია ფეხზე დაყენება. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბაღის პედაგოგებსა და მშობლებსაც მიაჩნიათ, რომ ბაღის ასაკში მოსწავლეები ვერ აცნობიერებენ და დიდ ყურადღებასაც არ უთმობენ ისეთ ფაქტებს, როგორიცაა სხვების თვალწინ შენიშვნის მიცემა, ჯგუფებში ყველა აღსაზრდელისთვის თავის შემოწმება, ხომ არ ჰყავს რომელიმეს მკბენარები, ყვირილი და სხვების თვალწინ კონკრეტული ბავშვის ან მისი ოჯახის შესახებ საუბარი. უმეტესად ეს ჩვეულებრივ რუტინად მიიჩნევა. ძალიან მცირეა იმ მშობელთა რაოდენობა, რომლებიც მსგავს ქცევას აპროტესტებენ.

დასასჯელი კიდეცაა უნდა დაისაჯოს, უნდა დადგეს კუთხეში. მე მომხრე ვარ. როგორ შეიძლება რომ არ უყვირო, თუ საყვირელია უნდა უყვირო, რომ ზრდილობა ისწავლოს. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

პირველი სართული ინგრევა ხოლმე და მე არ მაქვს იმაზე პრეტენზია რომ ჩემ შვილს არ უყვირონ, ნუ ძალიან ცელქია და რას იზამ. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

კიდეც არ მომწონს ბავშვებს საჯაროდ შეუმოწმეს თავი. ეს არ უნდა ხდებოდეს. ცალკე უნდა უთხრან მშობელს. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ლაპარაკობენ მასწავლებლები კონკრეტულ ბავშვებზე, რომ ეს ძალიან ცელქია, ეს ისეთია, ასეთია, მაგრამ ბალის ასაკის ბავშვებია და არა მგონია, ეგ გაანალიზონ. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ფიზიკური ძალადობის გარდა გამოვლინდა ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები. მსგავსი ქცევა განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა პედაგოგებს უჭირთ ჯგუფის მართვა, ან მშობლები ვერ ახერხებენ შვილების დაწყნარებას იმ პერიოდის განმავლობაში, როცა ისინი დილაობით ბაღში მოჰყავთ. არავისთვისაა უცხო, რომ ხშირ შემთხვევაში, და განსაკუთრებით დროის იმ მონაკვეთში, როცა ბავშვები პირველად მიდიან ბაღში და უნდა დაძლიონ მშობელთან მიჯაჭვულობა, ტირიან, გამოხატავენ პროტესტს და არ სურთ საბავშვო ბაღში დარჩენა, როგორც კვლევამ გამოავლინა, ბაღებში მშობლებს ეძლევათ იმის საშუალება, რომ დარჩნენ დღის განმავლობაში და თანდათან შეაჩვიონ შვილები ახალ გარემოს და ასე მოუხსნან ის შფოთვა, რომელიც დედის წასვლითა და ბაღში მარტო დარჩენით არის გამოწვეული, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ამისთვის დრო მშობლებს ნაკლებად აქვთ და არც მასწავლებლებს სურთ, დღის განმავლობაში პროცესში მშობელი ჩაერთოს. შესაბამისად, ხშირად ვხვდებით ფსიქოლოგიური ძალადობის ისეთ გამოვლინებას, როგორცაა დაშინება. დაშინება ხდება როგორც მშობლის, ასევე მასწავლებლის მხრიდანაც. ბალის ასაკის ბავშვები ნაკლებად აანალიზებენ თავიანთი ქმედებების შედეგებს, ეს კი უფროსებს აძლევს საშუალებას, რომ აღსაზრდელებს დააჯერონ ის, რაც რეალურად ვერ ან არ განხორციელდება, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს ბავშვს. გამოიკვეთა, რომ მშობლები ხშირად ცრუობენ შვილებთან, როცა ეუბნებიან, რომ ტირილს თუ არ შეწყვეტს, სხვა ბავშვებს ჩაკეტავენ და არ გამოუშვებენ, ან მისი ამგვარი საქციელით სხვას ზიანი მიადგება. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლები ხშირად მოუწოდებენ მშობლებს, დატოვონ ატირებული ბავშვი ბაღში, იმ მოტივით, რომ თანდათან შეეჩვევა. ამ მიდგომას მხარს მშობლებიც უჭერენ და მიაჩნიათ, რომ თუ ბავშვს ყველა სურვილს შეუსრულებ, ის ყოველთვის გააკეთებს იმას, რაც მას მოესურვება, ეს კი რესპონდენტებისთვის მიუღებელია.

აშავებდნენ რაღაცას და ვუთხარი, ბავშვებო, მე წავალ სხვა ბაღში და იქ ვიმუშავე და დაგტოვებთ-მეთქი და რომ შემომხედეს შეშინებულებმა და დაისკოჩეთ პირებიო, ერთმანეთს ეუბნებოდნენ. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

რომ შემყავდა ტიროდა და ვეუბნებოდი, რომ თუ არ შეხვალ, ჩაკეტავენ კარებს და სხვა ბავშვები იტირებენ და ასე ვტოვებდი. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

მეც დარჩენას ვამჯობინებდი, მაგრამ მასწავლებელმა თვითონ მითხრა, ესე აჯობებს რომ დატოვო უფრო მიეჩვევაო. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ბავშვის პრეტენზიებზე არ უნდა ვიაროთ ამ შემთხვევაში მიეჩვევა მერე და თავხედობაში გადაუვა ბოლოს. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით საკმაოდ აქტუალური თემაა ბუღინგი და ამაზე ტელევიზიითაც ბევრს საუბრობენ, აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ბუღინგის რაობის შესახებ. უმეტეს შემთხვევაში კითხვაზე, რას მოიაზრებდნენ რესპონდენტები ბუღინგში, მათგან მოდიოდა პასუხი, რომ ისინი საჭიროებდნენ ახსნას, რადგან არ ესმოდათ აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობა. აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ინფორმაციის ნაკლებობას ერთნაირად განიცდიან როგორც მშობლები, ისევე მასწავლებლებიც.

ეგი [ბუღინგი] რას უკავშირდება, მართალი გითხრათ, არ მესმის. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

შეიძლება ეს ბუღინგი იყოს უფრო ქალაქში, სადაც ბავშვები უფრო განებივრებულები არიან. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ჩვენთან ახლა „ბუღინგის“ პრობლემა არაა. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

მას შემდეგ, რაც რესპონდენტებს განემარტათ ბუღინგის მნიშვნელობა, პირველი რეაქცია მათგან იყო ის, რომ მსგავსი ფაქტები ბაღში არ ხდება და ბაღის ასაკის აღსაზრდელების პრობლემა ნამდვილად არ არის, თუმცა კონკრეტული ფაქტების განხილვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბუღინგის ფაქტები ბაღშიც საკმაოდ ხშირია. როგორც აღმოჩნდა, ბავშვები ხშირად დასცინიან ერთმანეთს სხვადასხვა ნიშნის გამო, მათ შორის: ჩაცმულობა, ქცევა, საუბრის მანერა. ასე შეიძლება გამოიყოს დაშინება, ფიზიკური ძალადობა და სხვა. როგორც კვლევამ გამოავლინა, ჯგუფებში არსებობენ ე.წ. „პოპულარული ბავშვები“, აღნიშნულ პოპულარობამდე რამდენიმე მიზეზს მივყავრთ, ეს შეიძლება იყოს ძვირადღირებული ნივთებისა და ტანსაცმლის ფლობა, მასწავლებლისგან მხარდაჭერა და აღიარება, სხვადასხვა აქტივობაში საკუთარი შესაძლებლობების კარგად წარმოჩენა, აღსაზრდელის ვიზუალი და მანერები. როგორც მასწავლებლები საუბრობენ, აღსაზრდელები დიდ ყურადღებას ანიჭებენ ვიზუალს და ჩაცმულობას და მეგობრებად ირჩევენ მათ, ვინც მათი აზრით „კარგად გამოიყურება“. ასე ვთქვათ მეგობრად ყოფნის გარკვეული კტრიტერიუმები არსებობს, რომლებსაც თუ ვერ დააკმაყოფილებს რომელიმე ბავშვი, ის შემდეგ ხდება „უცხო“ ჯგუფისთვის.

შეიძლება ეცვას [აღსაზრდელს] რეიტუზზე ჭრელი ნასკი და რომელიღაცა გოგონასთვის მიუღებელია, როგორ ჩაუცვიაო. ერთი გოგო მყავს, მოდელივითაა, ყოველთვის იყურება, ეს რა გაცვიაო. რა არის, სხვა ფეხსაცმელი არ გაქვს, სულ ერთი და იგივეო რომ გაცვიაო, ასეც იცის თქმა. ამით ისე ითრგუნება მეორე ბავშვი და იჩაგრება. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ერთხელ წვნიანი ჰქონდათ და ერთს უფრო მეტი ესხა და იმან უთხრა, ნახავ გარეთ რომ გამოხვალ, როგორ გაგლახავთ მე და ჩემი მმაკაცებო. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ჩემი შვილი გამორიცხულია სპორტული ტანსაცმლით წამოვიდეს. აცვია ჯინსი, ათვალიერებს ვის აცვია სპორტული, ეტყობა დასცინიან ერთმანეთს ბავშვები თორე საიდან ეცოდინებოდა? (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ბიჭებში იყო სულ ეგრე, ნახე მე ბოტასი მაცვია, რეიტუზი არ მაცვია, სულ ეგრე დასცინოდნენ. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ჯგუფების მრავალფეროვნება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

როგორც კვლევამ გამოავლინა არც პედაგოგებს და არც მშობლებს არ აქვთ ინფორმაცია მრავალფეროვნების მართვაზე, მეტიც, ჯგუფის მრავალფეროვნება მათი უმეტესობისთვის ასოცირდება მრავალფეროვან თამაშებთან, სხვადასვა ფერის კედლებთან, სხვადასხვა აქტივობასთან, მრავალფეროვან სათამაშოებთან და სხვა. კითხვაზე, თუ რა ნიშნის მიხედვით შეიძლება იყოს ჯგუფი მრავალფეროვანი, უმეტესობა რესპონდენტებისა საუბრობდა ასაკობრივ განსხვავებაზე. თავდაპირველად ისინი საერთოდ არ შეხებიან შშმ/სსმ ბავშვებს სოციალურად დაუცველ აღსაზრდელებს, განსხვავებული რელიგიისა და ეროვნების მქონე აღსაზრდელებს.

ინკლუზიური გარემო და ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური გარემოს არსებობა ბაღში აღსაზრდელთა განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პირობაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა ინკლუზია რესპონდენტებისთვის ასოცირდება შეზღუდულ შესაძლებლობებთან და უფრო თუ დავაკონკრეტებთ, ეტლით მოსარგებლე ბავშვებთან, შესაბამისად, ინკლუზიურ გარემოში ისინი მოიაზრებენ პანდუსებს, ლიფტს, ადაპტურ საპირფარეშოს. ინკლუზიური გარემოს გაიგივება კონკრეტული მოსწვლის საჭიროებების გათვალისწინებასა და მორგებასთან არ ხდება. მეტიც, სრულიად დამახინჯებულია ტერმინოლოგია და პედაგოგებისა და მშობლებისგან მოისმენთ: ინკლუზიური მოსწავლე, ინკლუზივი ბავშვი, ჩამორჩენილი და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგების გარკვეულ ნაწილს მოსმენილი აქვს ტრენინგი ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით.

კვლევის მიხედვით ბაღებში ბოლო წლების განმავლობაში წინა წლებთან შედარებით უფრო ხშირია შემთხვევები, როცა მშობლებს მიჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის და

სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები. თუმცა კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც მშობლების ინფორმირებულობის დონე და არც მასწავლებელთა კვალიფიკაციაც არ არის მაღალი, როცა საქმე ეხება შშმ ან სსმ აღსაზრდელებს. პედაგოგების მხრიდან შეიმჩნევა აღნიშნული აღსაზრდელების მიმართ პოზიტიური დისკრიმინაცია, როცა ცდილობენ, რომ დახატონ სურათი, თუ როგორ ეხმარება და ემეგობრება ყველა ბავშვს, რომელსაც რამე „ნაკლი/შეზღუდვა“ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგები ამ კუთხით პრობლემას ვერ ხედავენ და მიიჩნევენ, რომ შშმ/სსმ აღსაზრდელები საკმაოდ კარგად არიან ინტეგრირებულნი ჯგუფებში, ლატენტურად მაინც შეიმჩნევა მათი დამოკიდებულებები ამ ბავშვების მიმართ ისეთი ფრაზებით, როგორებიცაა: „დაუნი იყო, მაგრამ ყველას უყვარდა მაინც“, „ამნაირ ბავშვებს, ისე ექცევიან, როგორც ჩვეულებრივს“. პედაგოგები ასევე საუბრობენ იმაზეც, რომ შშმ/სსმ აღსაზრდელები ჩართულნი არიან ბაღის ღონისძიებებში, თუმცა როგორც მშობლები აღნიშნავენ, ჩართულობა ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ ეს ბავშვები უბრალოდ ესწრებიან ღონისძიებებს. გამოვლინდა ისიც, რომ განსხვავებულ მიდგომებსა და მეთოდებს პედაგოგები ამ ბავშვებთან კვალიფიკაციისა და გამოცდილების არქონის გამო ვერ იყენებენ. მაშინ, როცა ჯგუფში სსმ/შშმ აღსაზრდელი „პრობლემას“ ქმნის, მასწავლებელი ვერ ახერხებს მის დაინტერესებას, დამშვიდებას, გამოსავალი არის ფსიქოლოგთან (არსებობის შემთხვევაში) ან ცალკე ოთახში გაყვანა, რაც ვერანაირად ვერ შუწყობს ხელს ინტეგრაციას. უფრო მეტიც, ზოგიერთი პედაგოგი ფიქრობს, რომ შშმ/სსმ მოსწავლეები ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენენ ჯგუფში და მასწავლებლებს დროსა და ენერგიას ართმევენ.

ჩვეულებრივ ბავშვებთან ერთად უნდა იყოს, უფრო მიბაძვას ამ ჩვეულებრივ ბავშვებს და უფრო კარგად გააკეთებს ყველაფერს.(სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ვთქვათ, მთლად ინკლუზიური არაა, მარა ნახევრად არის. მართლა პრობლემურია. ეს ბავშვები იპარავენ ჩვენს დროს. დანარჩენებს ეშლებათ ხელი.(სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ბავშვს გარეგნულად ეტყობა, რომ არის დაუნის სინდრომის მქონე, თორემ ისე ისეთი ჭკვიანია, კომუნიკაბელური, განვითარებული, მაგრამ მას მაინც სჭირდება თავისებური რაღაცები, ის ფუფუნება არ გვაქვს, რომ მას სხვანაირად მივუდგეთ.(სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ღონისძიებებშიც ერთვებიან [შშმ ბავშვები], ახლა ლექსი და რამე არ უთქვამთ, მარა ბავშვებთან ერთად იყვნენ. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ჩვენ ფსიქოლოგი არ გვყავს, მაგრამ ინკლუზივი[გულისხმობს სპეციალურ პედაგოგს] გვყავს.(სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

რაც შეეხება მშობლებს, ისინი მიიჩნევენ, რომ შშმ და სსმ მოსწავლეები ერთ გარემოში უნდა იყვნენ, რადგან ბავშვები ბავშვობიდან ეჩვევიან განსხვავებულის მიღებას, განსხვავებით მათი მშობლების თაობისგან, რომლებიც იხსენებენ, თუ როგორი სირცხვილი იყო, როცა ოჯახში ჰყვადათ შშმ ბავშვი. თუმცა გამოვლინდა ფაქტები, როცა მშობელთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ მალავს მათი შვილების ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს. როგორც ირკვევა, ზოგიერთ მათგანს სირცხვილის გრძნობის გამო არ სურს თავისი შვილი ატაროს ბაღში, ზოგს კი აქვს შიში, რომ სკოლამდელ დაწესებულებაში შესაძლოა ბავშვი ბულინგის მსხვერპლი გახდეს და მას დასცინონ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ხშირად აღსაზრდელებს ჯანმრთელობის ცნობაში უწერიათ „ჯანმრთელი“, როცა მათ სინამდვილეში ჯანმრთელობის მხრივ გარკვეული პრობლემები (ეპილეფსია, ასთმა,) ან აუტისტური სპექტრის აშლილობა აქვთ, როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, მშობლებს არ სურთ, თავიანთი შვილების ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია მიიღონ თუნდაც პედაგოგებმა, რომლებიც დღის დიდ ნაწილს ამ აღსაზრდელებთან ატარებენ.

თუ ფიზიკურად არ აქვს გამოვლინება, არ უწერენ ჯანმრთელობის ცნობაში ალერგია რომ ალერგიაა და კვერცხზე აქვს ალერგია, ამასაც კი არ უწერენ. პედიატრმაც რომ მიუთითოს კოდი, სტატუსის დადგენა სჭირდება მერე და ამ სტატუსის დადგენა ძვირი ღირს. სტატუსს რომ დაუდგენ, მერე პენსია ენიშნება, მერე რიგები იზრდება. (სოციალური მუშაკი)

როდესაც ბავშვი არის დიაზეპამზე და ყოველდღიურად იღებს და დაავიწყდა თურმე იმ დღეს, ადამიანია მესმის, მაგრამ ხომ შეიძლება ეს ინფორმაცია მოიტანოს მასწავლებელთან, რომ ეპილეფსია სჭირდა ამ ბავშვს. (ოზურგეთის ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი)

არ ემეტებათ შვილი იმისთვის, რომ მას ეწეროს ჯანმრთელობის ცნობაში რამე ისე. ვერ დავუბედეტ ეტლსო ერთმა მითხრა. (სოციალური მუშაკი)

გენეტიკურად მოსდგამთ, დედასაც რაღაც გადახრები აქვს. თავიდან რომ მოიყვანეს, ძალით მოვიყვანეთ, მეზობელია ჩემი და ძალით მოვიყვანე, ასე რომ ვთქვათ. მშობელს ეშინოდა, არ დასცინონო. ისე კარგად არიან ბავშვები მასთან, რომ კითხულობენ ბავშვები, რატომ არ არისო. -მისი ძმა ჩვენთანაა სამზაოში და მართლა ჩამოყალიბებული ბავშვია. რამე ნაკლი არ აქვს. მშვენივრად ართმევს თავს ყველაფერს. ის ჩვეულებრივი ბავშვია. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ჩვენ გვყავს შშმ ბავშვი, ცერემბრალური დამბლითაა. მშობელს რცხვენოდა, დაჟე მეზობელთან არ გადაყავდა. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯგუფებში ყოველთვის არის აღსაზრდელები, რომლებსაც პედაგოგები მოიხსენიებენ ისეთი ეპითეტებით, როგორებიცაა: დაუმორჩილებელი, ძალიან

ცელქი, მაუგლი. მსგავსი ბავშვების „მოთვინიერება“ ძალიან რთულია მათთვის. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ზედმეტად ცელქი ბავშვების შესახებ ლაპარაკობს ყველა: აღსაზრდელებიც და მშობლებიც, მათ იციან, თითქოს ჯგუფში აღიარებულია და გარკვეული სტიგმა არსებობს კონკრეტული ბავშვის შესახებ, რომ ის არის „დაუმორჩილებელი“ და „ჯგუფის ამრევი“. რაც შემდგომში იწვევს იმას, რომ აღნიშნული რთულად სამართავი ბავშვი ირგებს ამ ქცევას და სწორედ ამით იღებს აღიარებას. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ მსგავს ბავშვებთან არანაირი მიდგომა არ ჭრის და მათ მიმართ დამოკიდებულება დაახლოებით მსგავსია იმ მოსწავლეებისადმი დამოკიდებულებისა, რომლებიც სკოლაში უკანა მერხებზე სხედან, შესაბამისად მათგან კარგ/ მოსაწონ ქცევას არავინ ელოდება. მშობელთა დამოკიდებულებაც ხშირ შემთხვევაში ცელქი ბავშვების მიმართ ნეგატიურია, იქიდან გამომდინარე, რომ მასწავლებელი ვერ ახერხებს ბავშვთა საერთო ენის გამოძებნას და მის დაინტერესებას, ზოგიერთი აღსაზრდელი კბენს ან კაწრავს სხვა ბავშვებს, მსგავსი ფაქტის გამო ყოფილა შემთხვევები, როცა მშობლებმა რთული ქცევის მქონე მოსწავლის სხვა ჯგუფში გადაყვანა ან ბაღიდან გაშვებაც კი მოითხოვეს.

არ მეგონა, ეს ბავშვი თუ ჩამოყალიბებოდა, ველური იყო, ასე ვთქვათ, მაუგლი. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

არიან ბავშვებიც, რომელთა მოთვინიერებაც შეუძლებელია. არის ბავშვი, რომელსაც უბრალოდ არ შეუძლია, რომ გაჩერდეს. არც მოფერება, არც თხოვნა არ ჭრის. აუცილებლად უნდა დახიოს, გააფუჭოს, გატეხოს. არაა მაგის საშველი. როცა შენიშვნას ეტყვი, გეუბნება, რომ უყვარხარ. დეკორაციებს ჩამოიღებს და გააფუჭებს. დასჯის მეთოდი არ ამართლებს. უკიდურესობამდე მივდივართ, ხან თხოვნით, ხან მუდარით. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

განსხვავებული რელიგიისა და ეროვნების მქონე ბავშვები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

რესპონდენტები, რომლებიც ჩართული იყვნენ პროცესში, მათი უმრავლესობა არის ქრისტიანი და ქართველი, თუმცა მათ ჰყავთ განსხვავებული რელიგიისა და ეროვნების აღსაზრდელებიც, მათ შორის რუსი, სომეხი, ბოშა, ასევე აღმსარებლობით მუსლიმი ან იეჰოვას მოწმე. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ ამ კუთხით მათ პრობლემა არ შექმნიათ. ბავშვები ამ ნიშნით ერთმანეთს არ ასხვავებენ, მაგრამ კონკრეტულ ფაქტებზე საუბრის დროს აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ბევრ პრობლემას ვაწყდებით. პირველ რიგში, ბაღში შესაძლოა შეხვდეთ წარწერებს: „უფალო შეგვიწყალებ“, ხატებს. როგორც აღმოჩნდა აღსაზრდელები დილაობით ლოცულობენ კიდეც, პედაგოგები ამბობენ, რომ ამ ფაქტის შესახებ მშობლებმაც იციან. აღსაზრდელებს, რომლებსაც განსხვავებული აღმსარებლობა აქვთ, პედაგოგების თქმით, ლოცვას არავინ აიძულებს, თუმცა, როცა ხედავენ, რომ ჯგუფში მათი მეგობრები ლოცულობენ და პირჯვარს იწერენ, ისინიც იმეორებენ ამ ქცევას. პედაგოგები საუბრობენ ფაქტებზე, როცა ბავშვის ოჯახის წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მუსლიმი

ბავშვი ლოცვას ამბობდა და პირჯვარს იწერდა, რის შემდეგაც კონკრეტულ მასწავლებელს მიეცა შენიშვნა, თუმცა როგორც პედაგოგები ამბობენ, ეს არ იყო სწორი, რადგან ქრისტიან ბავშვები როცა ლოცულობენ, მათ აქვთ ამის უფლება, ხოლო თუკი სხვა აღმსარებლობის აღსაზრდელს არ სურს ამ პროცესში ჩართვა, მას ამას არავინ აძალეებს. როგორც ექსპერტები საუბრობენ, ბევრი პედაგოგი ერთგვარ მისიადაც კი თვლის, რომ სხვა აღმსარებლობის ბავშვი ქრისტიანობაზე მოაქციოს და თუკი ამას შეძლებს, ეს საამაყოა მისთვის. აღინიშნა ისიც, რომ მასწავლებლებს ზოგჯერ პრობლემებს უქმნის სხვა აღმსარებლობის მქონე აღსაზრდელები, რადგან ზოგიერთი მათი წეს-ჩვეულება არ აძლევთ უფლებს გარკვეულ ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა, განსაკუთრებით ამ მხრივ მშობლებიც და პედაგოგებაც გამოყოფდნენ იეჰოვას მოწმეებს.

დილით ვკითხულობდით მამაო ჩვენოს და ერთ-ერთმა მშობელმა მაგის გამო მიჩვილა, რომ ჩემ შვილს ძალდატანებით ასწავლი მამაო ჩვენოსო. მე ძალდატანება არ მქონდა, უბრალოდ ყველა ბავშვი დგებოდა, მამაო ჩვენოს ვკითხულობდით, არავისთვის მითქვამს, რომ ეს შენ აუცილებლად უნდა წაიკითხო-მეთქი. მე დამიბარეს და მითხრეს, რომ ეს აღარ გააკეთოო. მე ხატები არ ამიღია ჩემს ოთახში, უბრალოდ შევწყვიტე მამაო ჩვენოს დილით წაკითხვა. მე ვთვლი, რომ არ იყო ეს შენიშვნა სწორი. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ჩვენ ბაღში უმრავლესობა გვყავს მუსლიმანი ბავშვები. საადგომოდ აუცილებლად ინფორმაციას ვაწვდით იესო ქრისტეს ცხოვრებაზე, უბრალოდ ვესაუბრებით. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

დილა იწყება მამაო ჩვენოთი, ყველა ბავშვი ერთად ლოცულობს, იმათთან ერთად ეს ბავშვებიც არიან, მშობლებმაც იციან, რომ კვების დაწყებამდე ყველა ამბობს „მამაო ჩვენოს“, მაგრამ ეს, ალბათ, 3-4 ბავშვი თუ იქნება, ისინი „აჭარლებს“ რომ ვეძახით ჩვენ, ძველებს აქვთ ეს მუსლიმანური რიტუალები, მარა ახლებს უნდათ, რომ მოინათლონ. მამაო ჩვენოს რომ დავამთავრებთ ადგებიან და ხატებს ემთხვევიან და თავისით აკეთებენ ამას ყველაფერს. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

აღმზრდელმა მოყვა, როგორ მოაქცია აზერბაიჯანელი ბავშვი მართლმადიდებლობაზე. ეს თემა მნიშვნელოვანია, რადგან ლოცვა ძაან გავრცელებულია ბაღებში (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ფოკუს-ჯგუფების მიმდინარეობის დროს მასწავლებლები იხსენებდნენ კონკრეტულ ბავშვებს და როდესაც მათზე საუბრობდნენ, ყველას, ვინც ეროვნებით ქართველი არ იყო, მოიხსენიებდნენ გვართ, როგორც აღმოჩნდა, ეს ბაღშიც ასე ხდება, რადგან მშობლებმა გაიხსენეს ფაქტები, როცა მასწავლებელი გვართ მიმართავდა ეროვნებით სომეხ ბავშვს და, რესპონდენტთა აზრით, ეს საკმაოდ უხეში მიმართვის ფორმა იყო პედაგოგის მხრიდან. მსგავსი მიდგომა გადადის ბავშვებზე, რადგან მშობლების თქმით, სახლში ისინიც ამ ბავშვებს გვარებით მოიხსენიებენ და არა სახელებით. იქიდან

გამომდინარე, რომ დროის დიდ ნაწილს აღსაზრდელი პედაგოგთან ერთად ატარებს, ის ითვისებს გარკვეულ ქცევებს, რომლებსაც ახორციელებს მათთან ერთად პედაგოგი, შესაბამისად, მასწავლებელს საკმაოდ დიდი გავლენა აქვს აღსაზრდელზე და მის განვითარებაზე. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ კვლავაც ხდება განსხვავება გურული და აჭარული მოსახლეობის, როგორც რესპონდენტები ამბობენ, მსგავს განსხვავებებს ბავშვები ვერ ამჩნევენ, თუ ეს მშობელმა ან პედაგოგმა არ ჩაუწერა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა მიმართვა „აჭარელო“ დღესაც გამოიყენება და ზოგჯერ ნეგატიურ კონტექსტში.

ცოტა ცუდად მომხვდა ყურში მასწავლებლის მხრიდან სომხური გვარი აქვს ბავშვს და გვართ მიმართეს. შეიძლება ჩვეულებრივი ამბავია და სხვებსაც ესე მიმართავენ. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ჩემმა შვილმა მითხრა, იციო, დედიკოო, ჩვენთან ჯგუფში სომეხი ბავშვი გვყავსო და რა მოხდა დედიკოთუო და ის კი აღარ მიფიქრია, ბავშვმა საიდან იცოდა. მერე ვკითხე სად მოისმინე თუო და ბავშვებს გაურჩევიათ თვითონ. (ბიჭებს უჩხუბიათ რაღაცაზე და წამოუძახებიათ სომეხი ხარო) (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ჰო, არის ასეთი მიმართებებიც, ცელქი ხარ, გიჟი ხარ, აჭარელი ხარ, რა ოჯახში გაზრდილი ხარ და ა.შ. (ოზურგეთის ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი)

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული სტერეოტიპები

როგორც არაერთხელ აღინიშნა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაში, სოციალიზაციის პროცესში, გარკვეული შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესში, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რას, როგორ და რატომ ასწავლიან თუ აჩვენებენ ბავშვებს. როგორც კვლევამ გამოავლინა პედაგოგებსა და მშობლებს საკმაოდ კარგად აქვს ინტერნალიზებული ის სტერეოტიპები, რომლებიც საზოგადოებაში კარგად არის ფესვგამდგარი. შესაბამისად, ნებით თუ უნებლიეთ აღნიშნულ სტერეოტიპებს ნერგავენ აღსაზრდელეებში/შვილებში. ყველაზე მეტად ეს მაინც გენდერულ სტერეოტიპებს ეხება. გამოვლინდა, რომ ბაღებში საკმაოდ პოპულარული გახდა როლური თამაშები. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ როლების გადანაწილება და შემდგომ მისი გათამაშება ბავშვებისთვის ყველაზე სახალისოა და ძალიან მოსწონთ, თუმცა უნდა ვისაუბროთ, რა როლებს ირგებენ აღსაზრდელეები ბაღში. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, სხვადასხვა თემას სთავაზობენ ბავშვებს, მაგალითისთვის მოიყვანეს პროფესიები. რესპონდენტებმა ისაუბრეს, რომ გოგონები ძირითადად ირჩევენ მასწავლებლობას, სტილისტობას, ბიჭები კი მშენებელსა და პოლიციელობას. საკმაოდ საინტერესო იყო პედაგოგთა დამოკიდებულებები როლების გადანაწილების შესახებ. ისინი აღნიშნავენ, რომ ბიჭები ძირითადად „ბიჭურ“ საქმეებს ირჩევენ, რაც ძალასთანაა დაკავშირებული, ხოლო გოგონები „ქალურ“ პროფესიებს. როლურ თამაშებში გამოიყო შემდეგი თემები: ბაზარი, სუპერ-მარკეტი, პროფესიები და ოჯახობანა. რესპონდენტებს

მიაჩნიათ, რომ აღსაზრდელები საკმაოდ კარგად ირგებენ როლებს, გოგონები მზარეულები არიან, ბიჭები კი სამსახურში დადიან. რესპონდები ფიქრობენ, რომ ზოგადად „ქალმა ქალის საქმე უნდა აკეთოს, ხოლო კაცმა- კაცის.“

ბიჭი ამბობს მაგალითად, რომ მე არ წავალ ბაზარში, იმიტომ რომ ბაზარში დედა დადის და თვითონ არ უნდა,ბიჭებს უნდათ მონადირეები იყვნენ, მაინც კაცურს აწვებიან. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

გოგონებში ძირითადად გამოიკვეთება, რომ დედები არიან თოჯინების და მასწავლებლები კიდე, ბიჭებისთვის არის პოლიცია და მძღოლები. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

რესპონდენტები და შესაბამისად ბავშვებიც განასხვავებენ გოგონებისა და ბეჭების ფერებს, მიიჩნევა, რომ ვარდისფერი „გოგოს ფერია“, ხოლო ლურჯი- ბიჭის. მშობლებიც და პედაგოგებიც ამ სტერეოტიპის გამყარებას უფრო მეტად უწყობენ ხელს, რადგან ბიჭებისთვის იძენენ ლურჯ სკამებს, ლურჯ და მუქ ტანსაცმელს, ხოლო გოგონებისთვის- ვარდისფერს. მსგავსი დამოკიდებულებები კი იწვევს იმას, რასაც თავად რესპონდენტები ყვებიან: ბიჭი არ სვამს ვარდისფერი ჭიქით, რადგან ეს გოგონას ჭიქაა, ასევე არ იცმევს ღია ფერის ტანსაცმელს, არ ჯდება ვარდისფერ სკამზე. გამონაკლის შემთხვევაში, როცა ბიჭს მოსწონს წითელი, ვარდისფერი ან სხვა ღია ფერი უმეტესად ხდება დაცინვის ობიექტი სხვა ბავშვებისგან, იმ მიზეზით, რომ მას გოგონას მსგავსი გემოვნება აქვს, რაც არც თუ ისე პოპულარულია ბაღის აღსაზრდელი ბიჭებისთვის და არც წახალისებულია უმეტესი ნაწილი პედაგოგებისა და მშობლების მხრიდან.

კი ახლა, იციან, რომ ვარდისფერი გოგოს ფერია და ცისფერი ბიჭის.იყო შემთხვევა, რომ ბიჭისთვის უნდა გამოემცვალა და ეგ გოგოს ზედაა და არ ჩავიცმევო სკამზეც კი არ ჯდება ვარდისფერზე (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

მე შვილები მყავს და თავიდანვე ვცდილობდი, რომ ბიჭისთვის ბიჭს ფერი ჩამეცვა და გოგოსთვის გოგოს. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

დიალოგებიდან [შვილთან] აღებულს მოგიყვებით:ქოლოგებიან ცეკვას ცეკვავენ გოგონები, აბა ბიჭები ხომ არ იცეკვებენ ქოლოგით? ყვავილები აუცილებლად არიან გოგონები. სახლში იმას არ ვასწავლი რომ ვარდისფერი გოგოს ფერია, არადა ბაღიდან მოიტანა ის რომ ვარდისფერი გოგოს ფერია და თოჯინა გოგოსია აუცილებლად. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

კვლევაში ასევე დაადასტურა ბაღებში ისეთი სტერეოტიპების არსებობა, როგორებიცაა, „ბიჭები არ ტირიან“, რადგან ბიჭი სიძლიერესთან ასოცირდება და, შესაბამისად, ტირილი, როგორც სისუტით გამოვლენილი ქცევა, კაცს არ მიეწერება. „გოგონა ნაზი უნდა იყოს“, არ

უნდა ახასიათებდეს ბიჭური თვისებები, რადგან ეს მეინსტრიმისთვის მისაღები და აღიარებული არ არის. რადიკალურად მიუღებელია, „ქალური“ მანერების ქონა ბიჭისთვის. პედაგოგები მსგავს სიტუაციებს ასახიერებენდნენ კიდევ ფოკუს-ჯგუფებზე, თუ როგორ მიუტანს მეგობარს ბიჭი ყავის ჭიქას და „ქალურად“ ახორციელებს ამ ქცევას.

ერთხელ ვუთხარი [შვილს] მიდი, დედა, დაკეცე და შეალაგე კარადაშითქო და უფუფ გოგო ხომ არ ვარო. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ჩვენ გვქონდა შემთხვევა, როცა ტიროდა [ჯგუფში ბიჭი] და დამშვიდების ფორმა მასწავლებლისგან იყო ის რომ არ იტირო, შენ ხომ გოგო არ ხარ, ვაჟკაცები არ ტირიან.. კაცი ხარ და გაუძელი.... ერთხელ მოვიდა და თქვა გოგოსავით მე არ ვტირივარო, მე მქონდა საუბარი მაგაზე რომ მხოლოდ გოგო არ ტირის, შეიძლება ბიჭმაც იტიროს ვცდილობ, რომ არ დავაკავშირო მაგასთან (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

გოგო კი არა „ქალბიჭაო“ მეუბნება მასწავლებელი. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ბაღებში ჩატარებული ღონისძიებები

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ღონისძიებები საკმაოდ ხშირად ტარდება, ძირითადად ეს არის: საშემოდგომო, საახალწლო, საგაზაფხულო და დასკვნითი ღონისძიებები. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ აღსაზრდელთა მშობლები აღნიშნულ ღონისძიებებს საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი შვილი სხვების წინაშე კარგად წარმოჩნდეს, თუმცა როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, მსგავსი აქტივობების მზადების პროცესში აღსაზრდელები საკმაოდ დიდ ენერჯიას დებენ იმაში, რომ კარგად მოამზადონ რთული ცეკვა, რთული სიმღერა და საკმაოდ მოცულობითი ლექსები, რაც იწვევს მათ გადაღლას, ასევე აღნიშნულ ღონისძიებებზე ბავშვები განიცდიან, ეწყებათ შფოთვა, რამდენად კარგად შეასრულებენ ცეკვას, სიმღერას, ან რამდენად კარგად იტყვიან ლექსს. სწორედ ამ შფოთვით აიხსნება ხშირად ბავშვების ტირილი ღონისძიებების დროს.

როცა ზეიშია, ამ დროს ბავშვს უნდა ეზეიმებოდეს, როდესაც ჩვენ ვასწავლით ბავშვს ბლუზს, ამას დიდი ხანი სწავლობენ ადამიანებს. რამდენი იწვალეს ბავშვებმა, ცეკვის სწავლა რთულია, სიმღერის სწავლა. (ოზურგეთის ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი)

ექსპერტები ასევე ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ საზოგადოებამ ნახოს, რამდენად კარგი პედაგოგი ჰყავს ჯგუფს, ამ ღონისძიებებზე თითქოს მასწავლებლის მუშაობა ჩანს, თითქოს ეს არის

საზომი იმ შრომისა, რაც პედაგოგმა აღსაზრდელებში ჩადო, აქედან გამომდინარე მას სურს, რომ მისი „შემოქმედება“ იყოს დახვეწილი და მოსაწონი. ამით ხსნიან ექსპერტები იმას, რომ ხშირ შემთხვევაში აღსაზრდელს არ სურს გარკვეული როლის შესრულება, მაგალითად, მელიის, ბოროტი დედინაცვლის და სხვა, ძირითადად გოგონებს უნდა იყვნენ ფიფქია, კონკია, პრინცესა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ზღაპარში ერთი მთავარი გმირია, ღონისძიებაზეც მხოლოდ ერთი ფიფქია და ერთი პრინცესა იქნება.

როგორც კვლევამ გამოავლინა ხშირად ბავშვებს არ მოსწონთ ის როლი, რომელიც ღონისძიებაზე აქვთ შესასრულებელი, მაგრამ მშობლები და მასწავლებლები სხვადასხვა მეთოდით ცდილობენ ათქმევინონ ის სიტყვა, რომელიც აღსაზრდელს აქვს სათქმელი. ხშირად ასეთი მეთოდი არის მითითება სხვაზე, თუ რა კარგად ასრულებს ის თავის როლს, ხოლო ეს ვერა, რომ მსგავსი საქციელის გამო შესაძლოა დასცინონ. აღსანიშნავია ისიც, თუ როგორ ხდება როლების გადანაწილება მასწავლებლის მიერ. როგორც თავად ამბობენ, ცდილობენ როლები ისე გადანაწილონ, რომ ფიზიკურად აღსაზრდელები ჰგავდნენ იმ პერსონაჟს, რომელსაც ასახიერებენ. პედაგოგების თქმით, იყო შემთხვევები, როცა კონკიას როლის შესრულების სურვილი გამოთქვა ბავშვმა, რომელიც წონის გამო არ შეესაბამებოდა ამ პერსონაჟს, ან ხვეული თმების გამო, ჰგავდა ჩიჩილას და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ შეასრულებინეს ახალი წლის როლი. მსგავსი დამოკიდებულება აღსაზრდელების თვითრწმენასა და საკუთარი თავის შეფასების უნარზე ცუდად აისახება, ასევე წარმოსახვის უნარის განვითარებასაც უშლის ხელს.

კონკია გვეჩონდა და ერთი გოგო იყო, ბუთქუნა, ჭამა უყვარდა და კონკიას კაბა ჰქონდა და უნდოდა კონკია ყოფილიყო, მერე დედამისი იხსენებდა, ისე დაელაპარაკა მასწავლებელი იმასო, რომ ფერია იყო და სულ აღარ ფიქრობდა კონკიაობაზე, მაგრამ ამ სპექტაკლში ფიზიკურად ვინც ედრებოდა კონკიას, ის გავაკეთეთ. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ახალი წელი მინდოდა ბავშვი ყოფილიყო, ქოჩორა ბავშვი გვყავდა და არ მინდოდა თქვა, ვინ გინდა-მეთქი და მინდა, ბუჩქი ვიყო, კაი-მეთქი ვუთხარი და მივეცი ახალი წლის სიტყვა და მას ეგონა ბუჩქი იყო. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

ბავშვი ტიროდა არ მოწონდა ფორმა რაც ეცვა, ვერაფერი ვერ მოვუხერხეთ მაგრამ მაინც მივიყვანე მინდოდა რომ მიჩვეულიყო. რომ დაინახა რომ სხვები უფრო თავისუფლად იყვნენ ესეც უფრო გაიხსნა. არ უნდოდა მონაწილეობა და ცოტა ძალადობის ფორმით მაგრამ მაინც მივალბინე მონაწილეობა. მიეჩვეოდა მერე ამ უპასუხისმგებლობას, არც ლექსი უნდოდა და არც არაფერი. მერე დისკს რომ ვაყურებინე ავუხსენი, რომ მარტო შენ ტიროდი. ისიც კი ვუთხარი, შენ რომ ტირიხარ, ბავშვები დაგცინებსთქო. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ჩემი შვილი მელია იყო და არ უნდოდა, მაინც მოუწია თამაში. ძალიან უსიამოვნოდ ჩაატარა ის ზეიმი, კუდის რცხვენოდა. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ამბები, რომლებსაც ბავშვები სახლში ყვებიან

ბავშვები ხშირად ყვებიან სახლში იმ ისტორიებს, რომლებიც ყოველდღიურად ხდება ბაღში. როგორც მშობლები ამბობენ, მათი შვილები მხოლოდ იმ ამბებზე საუბრობენ, როცა სხვა ბავშვებმა რაღაც დააშავეს, გააფუჭეს, გატეხეს ან მოიპარეს. რესპონდენტების თქმით, ბავშვები მხოლოდ ნეგატიურ ისტორიებს იხსენებენ. მსგავსი დამოკიდებულება კი მიუთითებს იმაზე, რომ აღსაზრდელები დამაბულები არიან, ცდილობენ, არაფერი დააშაონ და „კარგად“ მოიქცნენ, რომ მასწავლებელი არ გაბრაზდეს. მსგავსი სტრესული გარემო კი ბავშვებზე და მათს ფსიქიკაზე არც თუ ისე კარგად მოქმედებს.

როგორც კი დამინახავს, დაიწყებს მოყოლას, ვინ რა გაუფუჭა. მერე მოყვება რომ ვიღაცას უბიძგა, მერე მასწავლებელი იძახის ბიჭო, გოგოს არ უბიძგო. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

ვინმემ თუ რამე დააშავა იმას მიყვება, იმან დააშავა, იმან ეგ გატეხა, მერე დააყოლებს, რომ მე ასე არ გამიკეთებია და ხომ კარგად მოვიქეციო. (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელის მშობელი)

მშობელთა ჩართულობა

პედაგოგების აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა. მათი თქმით, დღესდღეობით მშობლები ძირითადად იმით ინტერესდებიან, რა ჭამა ბავშვმა დღის განმავლობაში ან რამე ხომ არ დააშავა. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ შობლები უფრო მეტად უნდა დაინტერესდნენ იმით, თუ რას სწვლობს მათი შვილი დღის განმავლობაში. ძირითადი აქცენტის გადატანა კვებაზე მიუთითებს იმაზე, რომ მშობლები უპირატესობას ანიჭებენ შვილების ფიზიკურ განვითარებას და ნაკლებად აქცევენ ყურადღებას კოგნიტური უნარების განვითარებას.

ზოგჯერ კითხულობს მშობელი, საჭმელი თუ ჭამა, კიდევ იტირა თუ არა, კვებაზეა ძირითადად. ეკითხებიან: დედიკო, რა ჭამე და შემდეგ ახსენდებათ, ისწავლე რამე? (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი)

რეკომენდაციები

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგებისა და მშობლებისთვის უნდა შემუშავდეს კურსი ტრენინგებისა, რომელიც მოიცავს შემდეგ თემებს:
 - უსაფრთხო გარემო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
 - მრავალფეროვნების მართვა
 - სტერეოტიპები და ცრურწმენები
 - ძალადობა და ბულინგი
 - ინკლუზიური გარემო

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგებისა და მშობლებისთვის უნდა გაიმართოს შეხვედრები ფსიქოლოგებთან და სფეროს ექსპერტებთან, რომლებიც მათ მიაწოდებენ ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ ბავშვთა განვითარება
 - მშობლების როლი ბავშვის თვითშეფასების ფორმირებაში
 - აღზრდის სტილის თავისებურებები და მათი გავლენა ბავშვის პიროვნებად ფორმირებაზე
 - ბავშვის განვითარების თავისებურებები, განვითარების შეფერხება ბავშვებთან
 - ბავშვის განვითარების კრიზისული პერიოდები და მათი დაძლევის მეთოდები
 - არასასურველი ქცევის მართვა ბავშვებში და მისი მართვის სტრატეგიები (დასჯა-წახალისების მეთოდები)
 - ემოციების მართვა ბავშვებთან

- ბალის ღონისძიებების ჩანაცვლება ისეთი აქტივობებით, რომლებიც ხელს შეუწყობს აღსაზრდელებში სამოქალაქო ღირებულებების შეძენას.

- ბალებში ინკლუზიური და ადაპტური გარემოს შექმნა, ასევე მულტიდისციპლინური მობილური გუნდის შექმნა, რომელიც იმუშავებს ბალებთან და დაეხმარება მასწავლებლებს შშმ და სსმ მოსწავლეებისთვის უკეთესი გარემოს შექმნაში.

